გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

საერთაშორისო კომპანიების საინვესტიციო სტრატეგია და რეგიონის განვითარება

სტუდენტი: გიორგი შახაძე
ხელმძღვანელი: ეკონომიკის მენიერებათა დოქტორი, პროფესორი ლალი ჩაგელიშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია 1

Annotation 2

შესავალი 3

თავი I. ინვესტიციები თანამედროვე მსოფლიოში 4

1.1.ინვესტიციების გენეზისი და დანიშნულება თანამედროვე პერიოდში 4

დაბანდების მიმართულების მხრივ განასხვავებენ ინვესტიციებს: 13

1.2 საინვესტიციო კლიმატი და ინვესტიციების რეგულირება საქართველოში 18

თავი II საერთაშორისო ინვესტიციების დინამიკა საქართველოს მეღვინეობაში 28

2.1. საქართველო, როგორც ,,ღვინის სამშობლო“ 28

2.2. მეღვინეობის, როგორც საინვესტიციო მიმართულების სფეროს განვითარების დინამიკა წლების მიხედვით 32

2.3. სასმლის იმპორტიორი კომპანიები საქართველოში და საინვესტიციო სტრატეგია კომპანია ,,შაბოს“ მაგალითზე 37

თავი III ინვესტიციები დარგისა და რეგიონის განვითარებაში 42

3.1 კვლევის საფუძველზე გამოკვეთილი ინვესტიციების მოზიდვის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები საქართველოში მოქმედ ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში 42

დასკვნა 49

გამოყენებული ლიტერატურა: 51

დანართი 53

ანოტაცია

უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია, რადგანაც, პირველ რიგში, ის იძლევა ეკონომიკის ზრდის საშუალებას. ასევე ხდება ქვეყნებს შორის კაპიტალის, ცოდნის, გამოცდილების, ადამიანური რესურსების, ტექნოლოგიური მიღწევების გაცვლა. საქართველო მუდმივი განვითარების ეტაპზე იმყოფება, შესაბამისად ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია. თემა მოიცავს როგორც ზოგად ინფორმაციას საკითხთან დაკავშირებით, ასევე საქართველოში შექმნილ გარემოს საინვესტიციო გარემოს და კვლევის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს და რეკომენდაციებს მომავალში უკეთესი შედეგების მისაღწევად.

ინვესტიციების მასტიმულირებელი როლი და მისი შედეგიანობა რეგიონის განვითარებაში მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული, დაწყებული ინვესტირების სახელწიფო პოლიტიკიდან დამთავრებული მათი ეფექტიანად გამოყენებით. რადგანაც, თვით ინვესტირების ფაქტი არანაირი შედეგის მომცემი არ არის, თუ არა მათი მიზანმიმართული, სწორი გამოყენება საბოლოო შედეგის მისაღებად. მოკლედ რომ ვთქვათ, ინვესტიციები დადებითი მულტიპლიკატორის როლს ასრულებს მათი სწორი გამოყენებით (რეგულირებით, მართვით), ხოლო ინვესტიციის არასწორ გამოყენებას შეუძლია საპირისპირო შედეგების მოცემაც. სწორედ ამ საკითხებზე, მათი ხელშეწყობისა და პრიორიტეტულ მიმართულებებში ინვესტირების საკითხებს იხილავს წინამდებარე ნაშრომი, რომელიც სამ თავსა, და 7 ქვეთავშია გაშუქებული.

ნაშრომის პირველი თავი ეხება ინვესტიციების გენეზისის თეორიულ ასპექტებს და განხილულია ინვესტიციებისადმი სხვადასხვა დროის მიდგომები და როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა მოსაზრებები. ამავე თავის მეორე ნაწილში კი გაანალიზებულია საინვესტიციო კლიმატი საქართველოში და მისი რეგულირების ასპექტები.

მეორე თავში გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების დინამიკა უშუალოდ საქართველოს მეღვინეობის სფეროში და კომპანია ,,შაბოს“ მაგალითზე განხილულია საინვესტიციო სტრატეგია.

მესამე თავი მოიცავს კვლევას ანკეტირების საფუძველზე, რომლის შედეგების მიხედვით გადმოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია ლიტერატურის ნუსხა და ანკეტა-კითხვარის დანართი.

Annotation

The role of the foreign investment in country development is the most important, because the first of all it creates abilities for an economical grows. For the other hand countries are sharing their capital, knowledge, experience, human resources, technological advancement.

Georgia is developing permanently, accordingly that is important point for our country.

Thesis includes not only general information regarding to the point, but also the investment environment in Georgia, main findings and recommendations for better future results.

Investment role to encourage the economic and its effectiveness is concerned to the various factors. Starts from the country investment policy and finishes with investment effectiveness, as well as investigation itself does not matter and might have negative results if it does not have right direction for the final results. Following work studies the main issues if inveatigation, like its encouragement and investigations in prioritised directions. Paper includes 3 chapters and 7 subchapters.

The first chapter is about theoretical aspects of investigation genesis and ovreviews different opinions of Georgian and foreign scientists.

The second subchapter of the first part sdudies investigation climat and regulations in Georgia.

The second chapter is about foreign investment dynamics in winemaking industry of Georgia. Investment stragegy is overviewed based on the experience of the company "Shabo".The third chapter includes main findings and recommendations based on the research study.

On the end of the paper you can find bibliography and questionnaire as an appendix.

შესავალი

უცხოური ინვესტიციების საკითხი, თავისი აქტუალურობიდან გამომდინარე არაერთხელ ყოფილა კვლევის საგანი, მაგრამ რადგან იცვლება მსოფლიო, ვითარდება მიდგომები და ტექნოლოგიები, ამ საკითხის პერიოდული შესწავლა და ანალიზი ყოველთვის მნიშვნელოვანია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინვესტიციების მასტიმულირებელი როლი და მისი შედეგიანობა რეგიონის განვითარებაში სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს, რათა კარგად იქნას წარმოჩენილი ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი მულტიპლიკატორის როლი. ამ მხრივ კი მოცემული სახით **საკითხის კვლევა მეტად საჭირო და აქტუალურია.**

ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენდა უცხოური ინვესტიციების რეგიუნულ ჭრილში, რეგიონული პრიორიტეტების წარმოჩენით. ამ მხრივ კი იმ კომპანიების გამოკითხვა, რომლებიც წლებია ანხორციელებენ ინვესტიციებს ბაზარზე. როგორია მათი სამომავლო გეგმები, ფიქრობენ თუ არა, რომ გააგრძელებენ და გააფართოვებენ ბიზნესს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს მეღვინეობის სფერო, კერძოდ კი კომპანია ,,შაბო'',

კვლევისას გამოყენებულ ისტორიული ანალიზის და **კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.** კერძოდ, სტატისტიკური ანალიზის და ანკეტირების მეთოდები.

თავი I. ინვესტიციები თანამედროვე მსოფლიოში

1.1.ინვესტიციების გენეზისი და დანიშნულება თანამედროვე პერიოდში

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire - შემოსვა) და ნიშნავს კა- პიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში. იგი იყოფა მოკლევადიან (კაპიტალის დაბანდება ერთ წლამდე ვადით), საშუალო (ერთიდან სამ წლამდე ვადით) და გრძელვადიან(სამ წელზე მეტი ვადითდაბანდება)ინვესტიციე- ბად.

დროთა განმავლობაში ,,ტერმინმა ინვესტიცია" უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. დღევანდელი გაგებით კი, ,,ინვესტიცია" მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს (**ჭარაია 2015:9**).

ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე გვხვდება ინვესტიციების მრავალი განმარტე- ბა. კერძოდ, სამოქალაქო განათლების ლექსიკონის თანახმად ინვესტიცია გულისხმობს ნებისმიერი სახის ფულადი, ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობის ან უფლე- ბის გრძელვადიან დაბანდებას საკუთარ ან უცხო ქვეყანაში სამეწარმეო და სხვა ობიექ- ტებში, რომელიცგამოიყენებაშესაძლომოგებისანსხვასახისსარგებლისმიღებისმიზ- ნით.

ინვესტიციები ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტია, რომელსაც ეკონომიკურ პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.[1] ამის მიზეზს ერთი მხრივ, წარმოადგენს კონიუნქტურულ რყევებზე მათი განსაკუთრებული რეაქციის უნარი, მეორე მხრივ, ინვესტიციები ხელს უწყობს ეროვნულ ეკონომიკაში ძირითადი კაპიტალის (მთლიანი კაპიტალდაბანდება, კაპიტალის მთლიანი მიწოდება) ზრდას და ამით გავ- ლენას ახდენენ

[1] მესხი, ი. (2017). *უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში.* ბათუმი.

ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე (კლუმპი 2015: 156).

ინვესტიციების თეორიის გენეზისი უკავშირდება ეკონომიკური აზრის პრაქტიკუ- ლად ყველა სკოლისა და მიმდინარეობის მეცნიერულ პოსტულატებს.

ინვესტიციების არსისა და ეკონომიკურ პროცესში მათი როლის გააზრების პირვე- ლი მცდელობები, ანტიკური მკვლევარების - პლატონისა და არისტოტელეს სახელებს უკავშირდება. ინვესტიციების არსის თეორიული გააზრების მცდელობები, მართალია, არასრული და არასისტემური იყო, მაგრამ, ეკონომიკური აზრის შემდგომი ევოლუციის პროცესში, მათ სულ უფრო გაშლილი კონცეპტუალური განვითარება ჰპოვეს მომდევნო ეკონომისტების ნაშრომებში.

ინვესტიციების თეორიის ძირითადი პრინციპების პირვანდელი გაგება, უკავშირდება მერკანტილისტების სკოლის წარმომადგენლებს, რომელთა შორის ყველაზე შესამჩნევ როლს თამაშობდნენ თ. მენის, დ. იუმის, ჯ. ლოს, ჟ. კოლბერის, ლ. ზეკენდორ- ფის, ი. ბეჰერის, ფ. გორნიგის თეორიული მიდგომები. ინვესტიციების თეორიის სფეროში მათი მეცნიერული მსოფლმხედველობის წამყვანი პრინციპები განსაზღვრავდნენ, უპირველეს ყოვლისა, საინვესტიციო რესურსების ფორმირების წყაროებს. კაპიტალისა და ფულის ცნების აღრევით, ისინი ფულს განიხილავდნენ საინვესტიციო რესურსების ისეთ განსაკუთრებულ წყაროდ, რომელიც სავაჭრო და საწარმოო საქმიანობის მოცულობის გადიდება უზრუნველყოფდა. მერკანტილისტებმა პირველებმა დაასაბუთეს იმ პირობების სახელმწიფოებრივად რეგულირების აუცილებლობა, რომლებიც საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებას და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას უზრუნველყოფენ. მათი მეცნიერული მსოფლმხედველობის შესაბამისად, ფულის მოდინების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს აქტიური პროტექციონისტური პოლიტიკა უნდა გაეტარებინა საერთაშორისო ვაჭრობის დარგში და მიეღწია თავისი სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოსათვის. ფულის დაგროვების ზრდა, მისი ღირებულების იმავდროულად შემცირებისას, მათი აზრით, მეწარმეთა საინვესტიციო საქმიანობის წა- ხალისების მთავარი ფაქტორი იყო, რომ და ეკონომიკის ყველაზე

უფრო მნიშვნელოვან სტრუქტურაწარმომქმნელ დარგებში პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციების სტიმუ- ლირებას განაპირობებდა.

ინვესტიციების თეორიის გარკვეული განვითარება უკავშირდება ფიზიოკრატების ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს ფ. კენეს, ჟ. ტიურგოს, გ. რივიერას, თ. სიენსს. საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბების წყაროებისა და ინვესტირების ობიექტების მიმართ მათი მიდგომა აქცენტირებული იყო ძირითადად მიწათმოქმედებაზე და არა ვაჭრობაზე (მერკანტილისტებისგან განსხვავებით). სახელმწიფოსა და ცალკეული მე- წარმეებისპრიორიტეტულსაინვესტიციოპოლიტიკადმათმიაჩნდათსახსრებისდაბან- დება ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაში. ფიზიოკრატებმა პირველებმა დაუდეს სათავე ინვესტირებული კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ კაპიტალად (ამ უკანასკნელს ისინი სხვადასხვაგვარ ავანსებად განიხილავდნენ). გარდა ამისა, ინვესტიციების მათეული თეორიის შესაბამისად, საინვესტიციო რესურსების ძირითადი ნაწილის შემქმნელი სასოფლო-სამეურნეო სექტორის ეფექტიანად განვითარებისათვის, სახელმწიფოს ერთიანი გადასახადი უნდა დაეწესებინა მიწის გამოყენებაზე (რენტის მიუხედავად). ბოლოს, ამ სკოლის წარმომადგენლები აიძულებდნენ სახელმწიფოს, უარი ეთქვა პროტექციონისტული სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაზე

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში კი ა. სმითმა, და დ. რიკარდომ, აგრეთვე, ჯ. მილმა, ჟ.ბ. სეიმ, ჯ. ლოდერდეილმა, დ. იუმ, თ. მალთუსმა, ნ. სენიორმა სერიოზულად გააღრმავეს ინვესტიციების არსის კვლევა მისი ყველა ასპექტის მიმართულებით და პირველად ჩამოაყალიბეს საზოგადოების საინვეს- ტიციო მოდელის პარამეტრები. ინვესტიციების განხილვის არე მათ გააფართოვეს ჯერ სამრეწველო წარმოების, შემდეგ კი არასაწარმოო სფეროებით. ამ სკოლის ეკო- ნომისტებმა პირველად გამიჯნეს მკვეთრად ფულისა და კაპიტალის ცნებები, განსაზღვ- რეს კაპიტალის დაგროვების როლი საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში, განი- ხილეს

საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში. ამ სკოლის ფარგ- ლებში დამტკიცდა ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ნორმის შემცირების პროცესის ობიექტურობა მისი გამოყენების მოცულობის გადიდების პარალელურად, გამოვლინდა ინვესტიციების მოცულობის გადიდებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას

(მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატებას) შორის ურთიერთკავშირის მექანიზმი, გა- ნისაზღვრა არასაწარმოო სახელმწიფო ინვესტიციების სფერო და შეიქმნა ქვეყნის ეკო- ნომიკის მასშტაბებით საინვესტიციო რესურსების განაწილების ოპტიმიზაციის სქემა, საფუძველი ჩაეყარა ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის კვლევას **(ქოქიაური 2006: 20).**

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება - „ინვესტიციები"სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებლო ინვესტიციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (საფინანსო ინვესტიციები).

სამომხმარებლო ინვესტიციები - ნიშნავს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ან უძრავი ქონების შეძენას. ფინანსური თვალსაზრისით ამ შემთხვევაში არ არსებობს შემოსავალი დაბანდებულ კაპიტალზე და ბუნებრივია არც ეს უკანასკნელი იზრდება. დაბანდებული სახსრები (ხანგრძლივი მოხმარების საქონელი ან უძრავი ქონება) თავისი არსით წარმოადგენს ფულად დანაზოგებს და არა მათ ინვესტირებას.

ინვესტიციები ბიზნესში - ნიშნავს საწარმოო პროცესების ორგანიზებას მოგების მი- ღების მიზნით, ე.ი. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.[2] ეკო ნომიკური ინვესტირება რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან „ნორმალური" რისკის პირობებში.

საფინანსო ინვესტიციები - ნიშნავს აქტივების შეძენას ფასიანი ქაღალდების სახით

[2] მესხი, ი. (2017). *უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში.* ბათუმი.

მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში. ეკონომიკური ინვესტიციებისაგან განსხვავებით საფინანსო ინვესტიციები არ საჭიროებს ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნას და მათი გამოყენების კონტროლს (**ბარათაშვილი...2009: 1.2**).

ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემადგენე- ლი ნაწილია გადასახადების გადახდის მინიმიზაციის სურვილი. ამიტომ სხვა თანაბარი ხარჯების პირობებში ფირმები თავიანთი ოპერაციების განხორციელების ბაზად ისეთ ქვეყნებს ირჩევენ, სადაც საგადასახადო განაკვეთები მინიმალურია. გარდა ამისა, ფირმები იყენებენ,,ტრანსფერული ფასების" მექანიზმს, რათა თავიანთი განცხადებული მგება დაბალგადასახადიან ქვეყნებში გადაიტანონ.

ინვესტიციები დაბანდების სახეობის მიხედვით იყოფა: ფინანსურ დაბანდებად და ინვესტიციებად არაფინანსურ აქტივებში; დაბანდების წყაროების მიხედვით - საკუთარ და ნასესხებად, საკუთრების ფორმის მიხედვით ინვესტიციები ოთხ კატეგორიად იყო- ფა: კერძო, სახელმწიფო, უცხოური და შერეული.

კერძო - საოჯახო მეურნეობების ან/და კერძო პირის მიერ განხორციელებული ინ- ვესტიცია, სახელმწიფო - ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია, როგორადაც შეიძლება ჩაითვალოს მაგ. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, უცხოური - ქვეყნის გარედან შემოსული ინვესტიციების ნაირსახეობა, რომელიც, შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც უცხო ქვეყნის მთავრობების, ასევე მოქალაქეებისა და ორგა- ნიზაციების მიერ და ბოლოს შერეული - კერძო, სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციე- ბის ერთობლიობა (**ჭარაია 2015: 11-12**)

კაპიტალი, ისევე, როგორც შრომა და საქონელი, მოძრაობს ქვეყნებს შორის. ამ გადაადგილების უპირველესი მიზანია მოგების მიღება. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში ერთი მეორეს უპირისპირდებიან კრედიტორები და დებიტორები. კაპიტალის მესაკუთრეები (კრედიტორები) გადასცემენ მსესხებლებს (დებიტორებს) ან საზღვარგარეთულ ფილიალებს ფულს, რომელიც იცვლება ვალდებულებასა და აქციებში, რომე- ლიც მომავალში უზრუნველყოფს კრედიტორების მომგებიან საქმიანობას.

ადგილობრივი ინვესტიციებისგან განსხვავებით, უფრო დიდ ყურადღებასა და დაინტერესებას მთავრობები ძირითადად უცხოური ინვესტიციების მიმართ იჩენენ, რომელიც თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა: პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციე- ბად.

პორტფელური ინვესტიციებია - კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთული საწარმოების აქციებში (საკონტროლო პაკეტის შეძენის გარეშე), ობლიგაციებში უცხოური სახელმწიფოების სხვა ფასიან ქაღალდებში, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო ორგანიზაციებში (**კონჯარია 2012: 26).**

სახელმწიფო, ანუ ოფიციალური ინვესტიცია უპირველესად პორტფელური ინვესტირებაა როგორც მოკლევადიანი (1-წლამდე), ისე ხანგრძლივი პერიოდისათვის.

პორტფელური ინვესტიციები, როგორც წესი, საფინანსო შუამავლობის დახმარე- ბით ხორციელდება, მათ შორის: კომერციული და საინვესტიციო ბანკები, კერძო ან/და სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიები, ფონდები და მრავალი სხვა.

პორტფელურ ინვესტიციებს ხშირად ,,ცხელ ფულსაც" უწოდებენ და მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან აიგივებენ, რადგანაც იგი რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყონებლივ ტოვებს ეკონომიკას.

პირდაპირ ინვესტიციებს - მიეკუთვნება კაპიტალის დაბანდებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის კონტროლს საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე (კომ-

პანიებზე). ისინი იძლევიან მართვაში საწარმოთა მონაწილეობის უფლებას. პრაქტიკაში გამოიყენება პირდაპირი ინვესტიციების სხვადასხვა განმარტება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) განმარტებით, ინვესტიციები ითვლება პირდაპირად, თუ უცხოელ ინვესტორს აქვს საწარმოს აქციების 25%-ზე მეტი, ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკის მიხედვით, საჭიროა სააქციო კაპიტალის არანაკლებ 10% (**კონჯარია 2012: 26).**

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან დიდწილად სწორედ ისინი

განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა კვლავ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ შეძლოს ეკონომიკის სტაბილურად და იაფი სესხებით მომარაგება (**ჭარაია 2015: 10-11).**

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არეგულირებენ საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე. საერთასშორისო დონეზე მათი რეგულირების ძირითადი ფორმაა საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები. ისინი შეიძლება იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი, რომელთა მონაწილეები არიან მთავრობები და ზოგჯერ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებიც. ყველაზე მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორმხრივ შეთანხ- მებებს, რომელთა მთავარი ელემენტებია ორმხრივი თანამშრომლობის ფორმები და ინვესტიციების დაცვის მექანიზმები. ამ უკანასკნელს წამყვანი ადგილი უჭირავს შე- თანხმებებში, რადგან სწორედ მასშია მოცემული სახსრების გადაგზავნის საშუალებები, არაკომერციული რისკების საწინააღმდეგო გარანტიები და შესაძლო უთანხმოებათა მოგვარების წესი.

ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება საგრძნობლად გააქტიურდა 1990-იან წლებში. ამ პერიოდში მათმა რაოდენობამ 2000-ს მიაღწია (**World Investment Report 2000:**).

თავდაპირველად მათი მონაწილეები, უფრო მეტად, განვითარებული ქვეყნები

იყვნენ, მაგრამ ამ ქვეყნებში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან და ბარიერების გაუქმებასთან ერთად ამის აქტუალობამ თანდათან იკლო. სამაგიეროდ ორმხრივმა ხელშეკრულებებმა იმატა განვითარებად სამყაროში ერთმანეთს შორის და განვითარებულ ქვეყნებთან. ამასთან, თვითონ განვითარებადი ქვეყნების ერთი ნაწილი ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის ექსპორტიორად იქცა.

ინვესტიციები ორმაგ როლს ასრულებს მაკროეკონომიკაში. ერთის მხრივ, ინვესტიციებზე გაწეული ხარჯები არის ხარჯების დიდი და ცვალებადი კომპონენტი, ამი- ტომ ინვესტიციების მკვეთრი ცვლილებები დიდ გავლენას ახდენს ერთობლივ მოთ- ხოვნაზე. ეს კი, თავის მხრივ, ზემოქმედებს წარმოების მოცულობაზე და დასაქმებაზე. მეორეს მხრივ, ინვესტიციები გულისხმობს კაპიტალის დაგროვებას. შენობების, მანქანა-მოწყობილობების გამრავლება იწვევს ეროვნული წარმოების პოტენციალის ზრდას და ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერიოდში.

ასე რომ ინვესტირება თამაშობს ორმაგ როლს:

ა) ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების მეშვეობით გავლენას ახდენს წარმოების მო- ცულობაზე, მოკლევადიან პერიოდში.

ბ) ზემოქმედებს რა კაპიტალწარმოქმნაზე, ე.ი. ეკონომიკის პოტენციალსა და ერთობლივ მიწოდებაზე, ინვესტირება გავლენას ახდენს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე (**ლეიაშვილი 2003:317).**

დაბანდების მიმართულების მხრივ განასხვავებენ ინვესტიციებს:

1. ფიზიკურ კაპიტალში, კერძოდ, მოწყობილობების, მანქანების, შენობებისა და ინფ- რასტრუქტურის სახით;

2. ფიქტიურ კაპიტალში, რომელიც გამოხატულია ფასიან ქაღალდებსა და არამატერია- ლურ აქტივებში (სავაჭრო მარკა, პატენტები, ლიცენზიები და ა.შ.);

3. ადამიანურ კაპიტალში (საწარმოს თანამშრომელთა მომზადება, პერსონალის განვი- თარება, თანამშრომელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება);

4. ტექნოლოგიური კაპიტალი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დაფინანსების ფორმით (**ოქროცვარიძე...2010: 2.1).**

მაგრამ ყველა მათგანს საბოლოო ჯამში ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ინვესტიციები, როგორც წესი, გულისხმობენ მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს;

2. უკუგება ინვესტიციისაგან შეიძლება მიღებულ იქნას რამდენიმე წლის შემდეგ;

3. ინვესტირებისას არსებობს რისკისა და გაურკვევლობის ელემენტები;

4. ინვესტიციები, რომლებიც განიხილება, როგორც კაპიტალური დაბანდებები, გუ- ლისხმობენ ძირითადი კაპიტალის შეძენას, საწარმოო შესაძლებლობების გაფართოე- ბას, ან ნებისმიერ სხვა დანარჩენს, რომლებიც მიმართულია ეფექტიანობის ზრდისა- კენ.

რადგან კაპიტალური დოვლათი მოიხმარება მრავალი წლის განმავლობაში, ამი-

ტომ საინვესტიციო გადაწყვეტილებები დამოკიდებულია:

ა) ახალი ინვესტიციებით წარმოებული პროდუქციის მოთხოვნაზე;

ბ) საპროცენტო განაკვეთებსა და გადასახადებზე, რომლებიც განაპირობებენ ინვესტი- რების ხარჯებს;

გ) მეწარმეთა მოლოდინებზე ეკონომიკის საერთო მდგომარეობის შესახებ **(ლეიაშვილი 2003: 318).**[III]

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არ არის უბრალოდ საერთაშორისო კაპიტალის ტრანსფერი, არამედ საწარმოს გაფართოებაა თავისი ქვეყნიდან საზღვარგარეთ მასპინძელ ქვეყანაში, რომელიც მოიცავს კაპიტალის ნაკადებს, თანამედროვე ტექნოლოგიას, სამეწარმეო უნარს და მენეჯერულ პრაქტიკას მასპინძელ ეკონომიკაში, სადაც ადგილობრივ ფაქტორებთან კომპინირებულად იწარმოება საქონელი და მომსახურება. მასპინძელი ქვეყნისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მაქსიმალური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ის რეციპიენტ ქვეყანას გადასცემს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას, ახორციელებს ადამიანური კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერას, ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით, ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე, აფართოებს

[III] მესხი, ი. (2017). *უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში.* ბათუმი.

საექსპორტო ბაზრებს, უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას. კაპიტალის შემოდინება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს მოაქვს მასპინძელი ქვეყნისათვის. მას აქვს პირდაპირი ზეგავლენა ქვეყანაში, რადგან კაპიტალს მოაქვს ახალი ფინანსური რესურსები, რომელიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი რეციპიენტი ქვეყნისათვის. მეტი ფული ნიშნავს ირიბად დამატებით ინვესტიციებს, რის შედეგადაც ეკონომიკა განიცდის ზრდას. არაპირდაპირი ეფექტი კაპიტალის შემოდინებისა არის ტექნოლოგიების შემოდინების გვერდითი მოვლენები, დასაქმების ზრდის გვერდითი მოვლენები და გაზრდილი კონკურენცია. კაპიტალისა და ტექნოლოგიების ინექცია ხელს უწყობს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებას. იგი გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემას, რომელსაც აქვს პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდაზე. რეციპიენტი ქვეყნის ადგი-ლობრივ ფირმებს მულტიეროვნული კორპორაციებისაგან შეუძლიათ მიიღონ სარგებელი სხვადასხვა გზით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებას, ხშირად აქვს ადგილი აღნიშნული ქვეყნე- ბის ბიუჯეტის შემცირებას სოციალურ სექტორში, იზრდება სიღარიბე, ვალუტის კურსის კრიზისი, ადგილობრივი ვალუტის მაშტაბური დევალვაცია და ვაჭრობის პირობების დეტერმინაცია. შიდა დანაზოგები ვერ აფინანსებს ინფრასტრუქტურას, ჩნდება საჭიროება უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების, მათი ისეთი უპირატესობების გამო, როგორიცაა რეციპიენტ ქვეყანაში მყარი ვალუტის და ფინანსური რესურსების შემოდინება, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნოლოგიური ცოდნა და ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება-დატრენინგება. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები იწვევს საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას, უცხოურ ბაზრებს ხდის ხელმისაწვდომს ადგილობრივი პროდუქტებისათვის, ხელს უწყობს ადგილობრივი

სამუშაო ძალის დატრენინგებას, ყოველივე ზემოთქმული კი ზრდის რეციფიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

• გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ უცხოური ინვესტიციები შეიძლება აისახოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად, ანუ ერთის მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური წინსვლისა თუ განვითარებისათვის ხელსაყრელი უცხოური ინვესტიციები რიგ უარყოფით გავლენას ახდენენ სახელმწიფოზე რომელთაგან აღსანიშნავია:

• რეციპიენტი ქვეყანა კარგავს ეროვნულ წარმოებასა და განვითარების სტრატეგიაზე კონტროლის მექანიზმებს;

• უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემომტანმა ფირმებმა შეიძლება გააძევონ ნაკლებად კონკურენტუნარიანი ეროვნული ფირმები;

• გრძელვადიან პერსპექტივაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანახარჯების ზრდას იწვევს;

• შიდა ბაზარზე იზღუდება ჯანსაღი კონკურენცია;

• ტრანსეროვნული კომპანიების შემოსვლის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება ქვეყნის პოლიტიკური არჩევანის თავისუფლება;

რეციპიენტი ქვეყნებისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებით ზეგავლენას ეკონომიკის ზრდაზე (მწარმოებლურობის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, თანამედროვე მენეჯერული უნარების ტრანსფერი, “ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა. შ) ხაზს უსვამს ცალკეული თეორიული მოდელები (მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური, ინდუსტრიონალიზაციის თეორიები და სხვა). უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ზეგავლენის ყველა აღნიშნული ფაქტორი მთლიანობაში დადებითად ზემოქმედებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის

მოდერნიზაციასა და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.[I]

1.2 საინვესტიციო კლიმატი და ინვესტიციების რეგულირება საქართველოში

საქართველოს კანონის ,,ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" მე-3 მუხლის თანახმად , ინვესტიცია არის სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამებსა და პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება (საქართველოს 2015ა:).

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საინვესტიციო აქტიურობის დონით და საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბით. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. საქართველოს დღეს ჰაერივით სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ა.შ

როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან სტიმულს არ წარმოადგენს, ისინი უფრო განვითარებადი ეკონომიკისათვისაა მნიშვნელოვანი. საქართველოში არ არის ბევრი

[I] ჟორჟოლიანი, თ. (2017). *უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა სამშენებლო ბიზნესზე აჭარის*

მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია (ერქომაიშვილი 2016: 34).

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა პრიორიტეტულია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი დიდი პრობლემაა, შეუძლებელია მოხდეს უცხოური ინვესტი

ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე. ქუთაისი.

ციების გარეშე. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან. თუ არ მოხდა ინვესტიციების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, შეუძლებელია შევაჩეროთ ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორიცაა ემიგრაციის ზრდა, ან დემოგრაფიული პრო- ცესები, რომელიც ფაქტიურად საქართველოს დეპოპულაციისკენ მიაქანებს. ყველა ამ პრობლემის მოგვარების გზა არის მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა (თეთრაძე 2016: 21).

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი საქართველოში უმეტესწილად უცხოური ინვეს- ტიციების ზრდის მოლოდინს ემყარება. საქართველოს შემთხვევაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო ფაქტორებად მკვლევარები ხშირად მიუთითებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მხარდამჭერი სამთავრობო პოლიტიკა, ბუნებრივი რესურსების შედარებითი ხელმისაწვდომობა და იაფი მუშახელი. ამ ფაქტორებს შორის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას კი არსებითი როლი ენიჭება (Kbiltsetskhlashvili 2010: 36).

როგორც ავღნიშნეთ, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტი- ციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბი-

ლური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომი- კური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

საქართველოში ეკონომიკის სექტორების ჭრილში მონაცემები 2007 წლიდან მუშავ- დება. ქვეყნების ჭრილში კი სტატისტიკის სამსახური ინფორმაციას 1996 წლიდან ამუშა- ვებს, თუმცა იმ პერიოდისთვის ძალიან მწირი ინფორმაცია იყო, ერთადერთი ინვესტი- ცია, რომელიც შეადგენდა 3,7 მლნ აშშ დოლარს, განხორციელებული იყო უკრაინიდან. ინფორმაციის მიღება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ უფრო სისტემატიზებულ სახეს 1997 წლიდან იღებს. ამ პერიოდიდან ინვესტიციების შემოდინებასაც უფრო ინტენსიური ხასიათი ეძლევა.

როგორც წესი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმ ქვეყნებში მიედინება, სა- დაც სტაბილურობის ნიშნები შეიმჩნევა და საქართველოში ეკონომიკური სიტუაციების ასეთი სტაბილიზაცია 1995 წლიდან დაიწყო. როგორც აღვნიშნეთ, 1997 წლიდან უცხოუ- რი ინვესტიციების ნაკადისა და ინვესტორი ქვეყნების რიცხვის ზრდაც ფიქსირდება. ამ წელს ყველაზე მსხვილი ინვესტიცია (96,6 მლნ აშშ დოლარი) შემოვიდა აშშ-დან, რომელსაც თითქმის 25 მლნ-იანი ინვესტიციით გაერთიანებული სამეფო და 18,7 მლნ-იანი ინვესტიციით ავსტრია მოსდევენ. 1997-2003 წლებში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად შემოდიოდა გაერთიანებული სამეფოდან, აშშ-დან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან, რომელთა შორისაც ლიდერობდა პირველი ორი ქვეყანა. ამ პერიოდში ყველაზე მეტი მაინც ამერიკის შეერთებული შტატებიდან შე- მოვიდა. მაგალითად, 1998 წელს მთელი ინვესტიციების 39,4% ამერიკაზე

მოდიოდა. [5]პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ 2003 წელს 40,2%-ით გადააჭარბა 1997 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2003 წლის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც და ინვესტორი ქვეყნების არეალიც ფართოვდება. კერძოდ,

[5] ჟორჟოლიანი, თ. (2017). *უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა სამშენებლო ბიზნესზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე.* ქუთაისი.

ინვესტორთა რიცხვს შეუერთდნენ: ესტონეთი, ლიტვა, ესპანეთი, ყაზახეთი, კაიმანის კუნძულები, პანამა და სხვები; ინვესტიციებმა აქტიურად იწყო შემოსვლა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან. 2007 წელი ინვეს-ტიციების ბუმი იყო და ძალიან მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა. ამ წელს პირდაპი- რი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ ორ მილიარდს გადააჭარბა. შემდეგ, 2008-ში, კლება დაიწყო. რაც გამოწვეული იყო რუსეთთან ომით და შესაბამისად აღნიშნული შემცირება აისახა კიდევაც იმავე წლის მე-3 კვარტალის მონაცემებში. თუმცა, მე-4 კვარტალში ეს პროცესი მაინც დაძლეულ იქნა და მე-3 კვარტალთან შედარებით ინვესტიციების მოცულობა გაორმაგდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მხრიდან საქართველო-სადმი სერიოზული (4,5 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის) ფინანსური მხარდაჭე-რა იყო სიგნალი ინვესტორებისთვის, რომ საქართველო სტაბილური ქვეყნის სტატუსს ინარჩუნებს და 2009 წლის განმავლობაში ქვეყანაში ინვესტიციები კვლავაც შემოდიოდა, თუმცა წლიურმა მოცულობამ 2008 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 40,1% შეადგინა.

დღევანდელ დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვან პერსპექტივებს ბადებს ინვესტიციური საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ, იქმნება ყველა პირობა ინვესტიციების მოზიდვისათვის ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და მისთვის საერთაშორისო ეკონომიკაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას.

ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად უნდა დავასახელოთ ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება, ასევე საკმაოდ მცირე კაპიტალდაბანდებებია ტრანსპორტში. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის

გაკეთება შეიძლება: ეს პერსპექტიული დარგები საჭიროებენ სახელმწიფოსმხარდაჭერას, რომელიც უნდა გამოიხატოს მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შექმნაში და გარკვეული შეღავათების დაწესებაში, იმისათვის რომ მოხდეს ამ დარგებში ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ააღორძინებს მათ და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ტურიზმის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე უაღრესად ფართო მასშტაბიანი და მრავალმხრივია. ეს გამოიხატება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით. პირდაპირი ზემოქმედება გულისხმობს სახელმწიფო და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, ინვესტიციების მოზიდვას. არაპირდაპირი ზემოქმედება გამოიხატება ტურიზმის განვითარებით ეკონომიკის სხვა დარგების სტიმულირებაში.

საინვესტიციო საქმიანობას საქართველოში არეგულირებს კანონი ,,საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“.ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი. ინვესტიციების დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. (30.06.2006 N 3425)[I]

ინვესტორის უფლებები და მოვალეობები ასევე დეტალურად არის გაწერილი კანონმდელობაში.

ინვესტორის უფლებები:

1. საინვესტიციო და სამეწარმოე საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და

გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი. გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა; (14.05.97 N705 პარლამენტის უწყებანი N 23-24)

2. ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში ნებისმიერი სახის ვალუტით გახსნას მიმდინარე და სხვა ანგარიშები.

3. ინვესტორს უფლება აქვს აიღოს სესხი საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებული საბანკო და საფინანსო დაწესებულებებიდან, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან.

4. ინვესტორს უფლება აქვს შეიძინოს აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები და როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ არსებული ქონება.

5. ინვესტირების შედეგების ფლობის, გამოყენების, განკარგვის უფლებები ინვესტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს სხვა იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირს კანონით დადგენილი წესით. უფლებების ასეთი გადაცემისას მხარეთა ურთიერთობა წესრიგდება ხელშეკრულების საფუძველზე; (26.06.98 N1513 პარლამენტის უწყებანი N 25-26)

6. უცხოელ ინვესტორს, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადასახადის შემდეგ, აქვს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დაწესებულებაში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება. ასეთი სახსრები შეიძლება იყოს:

ა) ნებისმიერი შენატანი უცხოური ინვესტიციით შექმნილი ობიექტის კაპიტალში;

ბ) ნებისმერი მოგება და დივიდენდი,ისევე,როგორც უცხოური ინვესტიციის მთლიანი ან ნაწილობრივი გაყიდვით ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი სახსრები;

---

[1] შევარდნაძე, ე. (1997). *საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების*

გ) სახელშეკრულებო, მათ შორის სასესხო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები.

დ) ქონების სარგებლობის უფლების გადასახადი, რომელიც წინასწარ განისაზღვრება, როგორც სხვისი ქონების, მათ შორის ბუნებრივი რესურსების, საავტორო უფლებების, პატენტის გამოყენებით მიღებული შემოსავლის პროცენტი (საროიალთო გადახდა), აგრეთვე მმართველობითი და სხვა ქირის გადახდა.

7. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრების,დანაშაულის ჩადენის ან სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

ინვესტორის მოვალეობა:

ინვესტორი ვალდებულია საქმიანობას ეწეოდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო შესაბამის უწყებებთან ერთად.

ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო_ ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსთან მოქმედებს საქართველოს საინვესტიციო ცენტრი, რომლის ფუნქციებია:

ა) ინვესტორთა მომსახურება და მათ მიერ წამოწყებულ სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეწყობა;

ბ) საქართველოს, როგორც ინვესტირებისათვის ხელსაყრელი ქვეყნის წარმოჩენა,

---

შესახებ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის უწყებანი.

საინვესტიციო გარემოს, საკანონმდებლო ბაზის, საგადასახადო სისტემისა და ინვესტირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება;

გ) საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ შესაძლო პარტნიორების გამოვლენა და ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობისათვის მათთვის რეკომენდაციების მიცემა;

დ) საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება და მათი საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის წარდგენა;

ე) ინვესტიციების მოზიდვა, უცხო ქვეყნებისა და კომპანიების იდენტიფიკაცია და მათთან ინდივიდუალური კონტაქტების დამყარება. (26.06.98 N1513 პარლამენტის უწყებანი N 25-26) ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.[II]

[II] შევარდნაძე, ე. (1997). *საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის უწყებანი.

თავი II საერთაშორისო ინვესტიციების დინამიკა საქართველოს მეღვინეობაში

2.1. საქართველო, როგორც ,,ღვინის სამშობლო“

არქეოლოგიური მონაცემებით, ქართველების ვაზთან და ღვინოსთან დამოკიდებულება ძალიან ადრეული ეპოქებიდან ჩანს. საქართველოში ღვინის დასაყენებლად ფართოდ გამოყენებული ქვევრი ნეოლითის ჭურჭლის მსგავსია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ რეგიონში ღვინის კულტურას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და მის უწყვეტობას უსვამს ხაზს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი ეპიზოდი კი არა, მთლიანი სურათი გვაქვს – უძველეს დროში დავიწყეთ ღვინის წარმოება და დღემდე ვაგრძელებთ მას.საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის (ძვ.წ. VI ათასწლეული) ძეგლების კვლევა XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრე ჯავახიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და თამაზ კიღურაძე. სწორედ ამ ძეგლებზე იქნა აღმოჩენილი უძველესი ღვინის ჭურჭელი, რომელიც სამეცნიერო საზოგადოებას ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აძლევდა იმის ფიქრის საბაბს, რომ საქართველო ღვინის სამშობლო იყო.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, საერთაშორისო ლიტერატურაში ცნობილმა მწერალმა, ჰიუ ჯონსონმა გამოთქვა თავის წიგნში „ღვინის ისტორია“, რომელიც 1989 წელს გამოიცა. მოგვიანებით იგივე ვარაუდი გამოთქვა ღვინის ისტორიის აღიარებულმა მკვლევარმა,პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა პატრიკ მაკგოვერნმაც, რომელმაც 1998 წელს იმოგზაურა საქართველოში. 2003 წელს კი

გამოსცა წიგნი „უძველესი ღვინო“, სადაც კავკასია ღვინის სავარაუდო სამშობლოდაა მოხსენიებული.

ეს ვარაუდები ძირითადად ემყარებოდა ზემოხსენებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ყურძნის წიპწების კვლევას, თუმცა, სამწუხაროდ, მაშინ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება მათ არ აღიარებდა, რადგან ვერ ხერხდებოდა აბსოლუტური დათარიღება.

ღვინის თემას 2006 წელს დავუკავშირდი, როდესაც ეროვნულ მუზეუმს „ვინოპოლისში“ გამოფენის განახლება დაევალა. ამ დროიდან ღვინის თემატიკის კვლევა და შედეგების საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაზიარება ჩვენს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა. ამ პერიოდიდანვე განახლდა გათხრები ნეოლითის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე, ხოლო სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, რომლის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი გახლდათ, შეიქმნა ღვინის ისტორიის ფონდი, რომლის მიზანი ღვინის კულტურის კვლევის ხელშეწყობა იყო. მის სიმბოლოდ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ძვ.წ. VII საუკუნის „თამადის“ ქანდაკება შეირჩა ვანიდან.

2008 წელს პროფ. პატრიკ მაკგოვერნი კვლავ ეწვია საქართველოს და წაიკითხა ლექცია უძველესი ღვინის ქიმიური შესწავლის საკითხებთან დაკავშირებით. რამდენჯერმე ჩატარდა ღვინის თემისადმი, მათ შორის ქვევრისადმი, მიძღვნილი სიმპოზიუმიც. თუმცა, ამ ყველაფერს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ 2014 წლიდან, ასოციაციის „ქართული ღვინო“ ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნული სააგენტო, ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით, ჩაუდგა სათავეში საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“.

მასში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და

მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) თანამშრომლები მონაწილეობენ.

პროექტის ფარგლებში, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის –

პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულური კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის“ და „შულავერის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც Vitis vinifera-ს ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერების ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიშვილის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული. მილანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო, ხოლო ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად, C14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი ძვ.წ. 6000-5800 წლებით განისაზღვრა, რაც 600 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

მიმდინარე წლის ნოემბერში, აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში PNAS გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“, რომელიც აღწერს ჩატარებულ კვლევას და მის შედეგებს და ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ.წ. 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

სტატიას წინ უძღოდა ქართული ღვინის 8000-წლოვანი ისტორიის ამსახველი გამოფენა საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, სადაც „ღვინის ქალაქმა“ (La Cité du Vin) საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცულ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპონატებს, არტეფაქტების ასლებსა და ფოტომასალას უმასპინძლა და საქართველო წარდგა როგორც პირველი „მოწვეული ვენახი“.

„მოწვეული ვენახი“ გამოფენათა ციკლის ნაწილია, რომლის ორგანიზებაც ბორდოში ახალგახსნილმა ღვინის ცივილიზაციათა და კულტურის ცენტრმა, იგივე „ღვინის ქალაქმა“, ითავა. საგამოფენო კონცეფცია ფართო ქრონოლოგიურ ჭრილში ღვინის კულტურასთან დაკავშირებული არტეფაქტების ჩვენებას გულისხმობდა არა მხოლოდ დიდი წარსულით, არამედ ათასწლეულების განმავლობაში მისი უწყვეტობით. გამოფენის ამოსავალი წერტილი მეღვინეობის საწყისი ეტაპის – ნეოლითის ეპოქის სწორედ ის არქეოლოგიური აღმოჩენები იყო, რითაც ქართული ღვინის ასაკი 8000 წლით განისაზღვრა, პროექტის „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“ ფარგლებში.

თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოება სულ უფრო მეტი დამაჯერებლობით აღიარებს საქართველოს „ღვინის სამშობლოდ“. ამას, ერთი მხრივ, მოწმობს ვაზისა და ღვინის კულტურასთან დაკავშირებული უძველესი არქეოლოგიური მასალა და, მეორე მხრივ, არქეობოტანიკური მონაცემები. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება თანხმდება, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის შემდეგ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე.[8]

საქართველოში ღვინის დაყენების ტრადიცია 8 ათას წელს ითვლის და მას ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქართველოში ყურძნის 525

[8] https://sputnik-georgia.com/georgia/20170911/237293279/saqartvelo-gvinis-samshobloa.html

ჯიშია, ღვინის სახეობების დათვლა კი პრაქტიკულად შეუძლებელია. მსოფლიოში ცნობილი ყურძნის 4 ათასი სახეობიდან დაახლოებით 500-ს ქართული ფესვები აქვს.

2013 წელს, იუნესკოს გადაწყვეტილებით, ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შევიდა.[9]

2.2. მეღვინეობის, როგორც საინვესტიციო მიმართულების სფეროს განვითარების დინამიკა წლების მიხედვით

საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ორგანიზებას უკეთებს დეგუსტაციებს, კონკურსებს, საერთაშორისო ღვინის კონფერენციებს, გამოფენების და მედია-ტურების ჩატარებას.

მარკეტინგული აქტივობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

[9] https://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2&fotocat=553&id=619

რეგიონები, სადაც საქართველოს, როგორც ქვეყნის და შესაბამისად ქართული ღვინის ცნობადობა არის დაბალი;

რეგიონები, სადაც ცნობადობა არის მაღალი, მაგრამ საჭიროა ლოიალური სეგმენტის ზრდა.

ქართული ღვინო პროფესიონალებისა და მოყვარულების წინაშე 3 ძირითადი გზავნილით წარსდგება: „საქართველო ღვინის აკვანი", რაც დაფუძნებულია მრავალ ისტორიულ და არქეოლოგიურ ფაქტებსა და წყაროებზე, რომ საქართველო მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი გზავნილია „8 ათასი უწყვეტი რთველი" - საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 8 ათასი წლის დაიწყეს ღვინის წარმოება და ამ კულტურას წყვეტა არ ჰქონია.

მესამე ძირითადი გზავნილია - 525 უნიკალური ადგილობრივი ჯიში. ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით საქართველო მართლაც გამორჩეული და უნიკალურია მსოფლიოს მეღვინეობით განთქმულ ქვეყნებს შორის. საქართველოში აღწერილია კულტურული ვაზის 500 ზე მეტი ქართული ჯიში. ასეთი მრავალფეროვნება ადასტურებს, რომ საქართველოში კულტურული მევენახეობა ათასწლეულებს ითვლის.

ცალკე სეგმენტად გამოიყოფა ქართული ქვევრის ღვინო. ქვევრის ღვინის დამზადების უნიკალური წესისა და ტრადიციების პრომოცია ხდება, როგორც გამოფენა-ღონისძიებების, ასევე სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს 9ГТУЫСЩ0 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.[10]

[10] http://georgianwine.gov.ge/Ge/Programs/3

ღვინის სფერო, რომ მზარდი ტენდენციებით ხასიათდება ამაზე ბოლო წლების ექსპორტის შედარებითი ანალიზები მოწმობს:



ასევე თვალსაჩინოა ექსპორტის მატება 2016-2017 წლების შედარების ანალიზის დროს:


2016-2017 წლების შედარება, ტოპ 20 ქვეყანა საექსპორტო
80,000,000
70,000,000
60,000,000
50,000,000
40,000,000
30,000,000
20,000,000
10,000,000
0
რუსეთი
უკრაინა
ჩინეთი
ყაზახეთი
პოლონეთი
ბელორუსია
ლატვია
ესტონეთი
აშშ
ლიტვა
გერმანია
ისრაელი
კანადა
მონღოლეთი
იაპონია
ავსტრალია
ყირგიზეთი
საფრანგეთი
ინგლისი
თურქმენეთი
2016
2017


2017-2018 წლების ექსპორტის მონაცემების შედარება -თანხობრივად
$250,000,000.00
$200,000,000.00
$150,000,000.00
$100,000,000.00
$50,000,000.00
$-
ღვინო
ბრენდი
ჭაჭა
ღვინომასალა
ბრენდი ჩამოსასხმელი
საბრენდე სპირტი
2017
2018



2019 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან მსოფლიოს 39 ქვეყანაში 33,6 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 87 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 16%-ით მეტია. ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ - 126% (322835 ბოთლი), ჩინეთი - 27% (2972733) და პოლონეთი - 18% (1540182). ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი - 91% (46254), ისრაელი - 72% (131184), ლიეტუვა - 57% (270564), ბელარუსი - 47% (680906), ესტონეთი - 33% (287582), ნიდერლანდები - 27% (42380), კანადა - 26% (76860), მონღოლეთი - 22% (106452), გერმანია - 9% (274721), რუსეთი - 5% (21372581) და ა.შ. წლის დასაწყისში, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 203-მა კომპანიამ

განახორციელა. ამასთან, მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 10,7 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 60%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 23 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა 67%). მსოფლიოს 19 ქვეყანაში ექსპორტირებულია 216,5 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 61% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 572,2 ათას აშშ დოლარს აღწევს (ზრდა 37%).[11]

2.3. სასმლის იმპორტიორი კომპანიები საქართველოში და საინვესტიციო სტრატეგია კომპანია ,,შაბოს“ მაგალითზე

უცხოურ ღვინოს საქართველოში ყოველთვის სვამდნენ, დაწყებული ელინური ეპოქიდან დამთავრებული გვიან, შუა საუკუნეებამდე. ის ჩვენს ქვეყანაში რუსეთის ბატონობის დროსაც შემოჰქონდათ. მოგზაური არქანჯელო ლამბერტი აღწერს ქართველი (მეგრელი) თავადების ნადიმის ერთ-ერთ სცენას, სადაც სტუმრის საპატივცემულოდ ფრანგულ ღვინოს ხსნიან. როგორც მოგზაური იხსენებს, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლების მიერ შეთავაზებული ფრანგული ღვინო უკვე გაფუჭებული იყო, მას მათ პატივსაცემად, აღნიშნული ღვინის შექება მოუწია.

საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც საქართველოში ყურძნის ცუდი მოსავალი იყო და საკმარის ღვინოს ვერ აწარმოებდნენ, სახელმწიფო იძულებული ხდებოდა ღვინო მისი პარტნიორი ანდა მთავარი ღვინის მწარმოებელი ქვეყნებიდან შემოეტანათ. 68 წლის, თბილისელი ანზორ გოგორელიანი იხსენებს იმ დროს, როდესაც საქართველოში გემებით "ალჟირული" უხარისხო ღვინო შემოიტანეს.

"60-იანი წლების დასაწყისში, ზედიზედ სამი წლის მანძილზე კახეთში ყურძნის ძალიან ცუდი მოსავალი მოვიდა. ამიტომ, ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ღვინო ალჟირიდან შემოეტანათ, რადგან რუსები ღვინოს ითხოვდნენ, ქართული ღვინის ქარხნები კი ამ

[11] http://georgianwine.gov.ge/

მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდნენ. ალჟირიდან შემოიტანეს სტაფილოსფერი შეფერილობის ღვინო, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მაღაზიების დახლებზე გამოჩნდა. მისი ფასიც კი მახსოვს 2 მანეთი და 40 კაპიკი ღირდა. ღვინო იყო ძალიან დაბალი ხარისხის. რუსები მასში სპირტს ასხამდნენ ალკოჰოლის რაოდენობა რომ გაეზარდათ. საქართველოში ამ ღვინოს სტუდენტები თუ იყიდიდნენ ხოლმე და ისიც ძალიან იშვიათად. იმასაც იძახდნენ, რომ ალჟირული ღვინით ბათუმში მთელი ქორწილი დაიწამლა", - ანზორ გოგორელიანი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისის მაღაზიებში მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გამოჩნდა უცხოური წარმოების ალკოჰოლური პროდუქცია და მათ შორის ღვინოც. გამოსარჩევია: მოლდოვური, ბერძნული, ფრანგული და იტალიური ღვინოები, რომლებიც შედარებით "ფეშენებელურ" მაღაზიებში იყიდებოდა და მათი ფასი ქართული ღვინის ფასს 3-4-ჯერ აღემატებოდა

დღეს, თბილისში და საქართველოს დიდ ქალაქებში უცხოური ღვინო ძირითადად ე.წ. დიდ სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებშია წარმოდგენილი, სადაც ქართველ მომხმარებელს 40-ზე მეტი დასახელების უცხოური ღვინის შეძენა შეუძლია. ამ ღვინოებში შედის ე.წ. ცქრიალა და შემაგრებული ღვინოც. ფრანგულ და იტალიურ ცნობილ ღვინოებთან ერთად, შესაძლებელია ე.წ. ახალი სამყაროს ქვეყნების: ახალი ზელანდიის, არგენტინის, კალიფორნიისა და ჩილეს ღვინოების შეძენაც.

ქართულ ღვინის ბაზარზე წარმოდგენილი უცხოური, ერთი ბოთლი, ღვინის ფასი 12 ლარიდან იწყება და დაახლოებით 400 ლარამდე ადის. მათ შორის ასევე მოიაზრება საფრანგეთში, "შამპანის" რეგიონში მოწეული ყურძნისგან დამზადებული "ცქრიალა" ღვინოები, კლასიკური შამპანურები, რომელთა ფასი 90 ლარიდან იწყება.

ქართული ღვინის მაღაზიების დახლებზე უცხოური ღვინოებიდან ყველაზე ხშირად ფრანგული "პინო", "შარდონე", გერმანული "რისლინგი" და იტალიური "რიბოლა" გვხვდება. ეს გახლავთ ევროპაში და მთელს მსოფლიოში პოპულარული ყურძნის

ჯიშები. მათი სახელები დღეს ღვინის ბრენდებს ჰქვიათ და ხშირად ყურძნის დასახელება უფრო მეტის გამომხატველია, ვიდრე რომელიმე ქვეყნის რეგიონის ანდა მეღვინის სახელი.[12]

საქართველოში 15 ძირითადი სასმლის იმპორტიორი კომპანია ოპერირებს ბაზარზე. მათგან ერთ-ერთი გამორჩეული და უდავო ლიდერი კომპანია ,,შაბოა".

2003 წელს დაარსდა ღვინის კომპანია „შაბო", რომელმაც განაპირობა რეგიონში საუკუნეობრივი მეღვინე ტრადიციების აღდგენა და დღევანდელობაში დამკვიდრება. ღვინის კომპლექსი აღჭურვილია სრული საწარმოო ციკლით და დაკავებულია ყურძნის მოვლით, დამუშავებით, წარმოებითა და გაყიდვით.კომპანია მალევე გახდა ბაზარზე ღვინის ინდუსტრიის ერთ-ერთი ლიდერი. დღესდღეობით შაბოს სასმელების ფართო სპექტრი ვრცელდება უკრაინის, საქართველოს, ისრაელის, ჩინეთის, პოლონეთის, ლატვიის, ესტონეთის, ბელგიის, საფრანგეთის, დანიის, ჩეხეთის რესპუბლიკის, აშშ-ს, ბრაზილიის, კანადის, აზერბაიჯანის, იაპონიის, ერაყის, ნორვეგიისა და დიდი ბრიტანეთის საბაზრო ტერიტორიებზე.

ყოველწლურად შაბო სასმლის 80 ბრენდის 50,000,000 ბოთლს აწარმოებს, რომლებიც მხოლოდ შერჩეული ყურძნის მტევნებით მზადდება. ჩვენს კომპანიას აქვს ბოთლში ჩამოსხმის 9 ხაზი, წარმოდგენილი მოწინავე ევროპული წარმოების აღჭურვილობით, რომელიც საშუალებას იძლევა, შაბოს სასმელების ჩამოსხმისას, ახლად დაკრეფილ ყურძენს სრულად შეუნარჩუნდეს ფასდაუდებელი ბუნებრივი თვისებები.მინერალებით გაჯერებული ნიადაგი და იდეალური გარემო პირობები საშუალებას იძლევა მოშენდეს ისეთი ჯიშის ნაირსახეობები როგორებიცაა:

- შარდონე
- სავინიონ ბლანი
- კაბერნე სავინიონი

[12] https://allwine.ge/ka/blog/ucxouri-rvino-qartul-rvinis-bazarze_1472/

- რისლინგი
- მერლო
- მუსკატ ოტონელი
- ტელტი კურუკი
- პინო ნუარ და სხვ.

ღვინის კულტურის ცენტრი შაბოში 4 ჰექტარ ფართობზე პირდაპირ ქარხანაშია განთავსებული. ეს არის პოპულარული ტურისტული ადგილი და ათასობით ადამიანის ცოდნა ყოველ წელს იზრდება ღვინის კულტურის შესახებ. 2011 წლის აპრილში «ღვინის კულტურის ცენტრი შაბო» აღიარებულ იქნა როგორც ათწლეულის აღმოჩენა. მოგვიანებით, ევროპის საბჭოს რეკომენდაციით, მას ეწოდა «ევროპული კულტურული მემკვიდრეობა» და ღვინის მუზეუმების ევროპულ რუკაზე იქნა შეტანილი.

შაბოს ქართული ვენახები მდებარეობს კახეთში, კერძოდ გურჯაანის მუნიციპალიტეტისა და თელავის მუნიციპალიტეტის საზღვართან, ვაჩნაძიანში. ტერიტორია მიეკუთვნება მუკუზნის მიკრო ზონას, რომელიც გამოირჩევა თავისი უნიკალური და მაღალხარისხიანი მოსავლიანობით

ღვინო „ქართული ლეგენდა“ იწარმოება საქართველოში „შაბოს“ მეღვინეების ზედამხედველობით. დამზადებულია კახეთის ტერუარში, კერძოდ, მუკუზნისა და წინანდლის მიკროზონებში აღებული მოსავლებისგან , რომლებიც იძლევიან მაღალი ხარისხის, მდიდარი გემოსა და მრავალფეროვანი არომატებით გამორჩეულ ღვინოებს.

ღვინის ბრენდი „ქართული ლეგენდა“ იწარმოება მაღალი ხარისხის საბრენდე სპირტებისაგან 3 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი დავარგებით. პროდუქციის წარმოება მიმდინარეობს მთლიანად შაბოს ექსპერტების ზედამხედველობით

კლასიკების ღვინის ხაზისათვის ყურძენი იკრიფება როგორც ხელით, ასევე თანამედროვე ტექნიკის დახმარებით დღის იმ მონაკვეთში როდესაც ჰაერში

ოპტიმალური ტემპერატურაა, რის შემდეგაც მოკრეფილი მოსავალი 15 წუთში მაცივარ-მანქანების მეშვეობით მიდის ქარხანაში და იწყება ღვინის წარმოების პროცესი.

შაბო რეზერვი მზადდება მხოლოდ შერჩეულ ნიადაგზე მოყვანილი ყურძნებით. რეზერვებისათვის შერჩეული ვაზის დატვირთვა მკაცრად კონტროლდება და ერთი მტევნის სიმძიმე არ უნდა აღემატებოდეს 1.6 კგ-ს. მოსავალს იღებენ გამთენიისას, როდესაც ჰაერის ტემპერატურა +8 და +10 შორის მერყეობს. ღვინო ვარგდება მუხის კასრებში 9 თვის განმავლობაში.-გრანდ რეზერვი ტოპ ღვინის ხაზებისთვის ყურძენი მოსავლის აღებისთანავე ორმაგ დახარისხებას გადის. წითელი ყურძნის ჯიშები წიპწებთან ერთად ფერმენტაციაზე იგზავნება Taransaud მუხის კასრში, რომელიც აღჭურვილია ტემპერარუტის კონტროლის სისტემით. დაჭყლეტვის გარეშე, თეთრი ყურძენი რბილად იპრესება BucherXPlus-ის საპრესი მანქანით და შემდეგ გადის ფერმენტაციის პროცესს შესაბამისი ტემპერატურის მქონე მუხის კასრში.

რეზერვუარული ცქრიალა ღვინოები: 1 ბოთლი შეიცავს 1.6 კგ უმაღლესი ხარისხის ყურძენს შაბოს ტერუარიდან.ცქრიალა ღვინოების დამზადება ხდება „შარმის“ ტექნელოგიის საშუალებით, რეზერვუალური მეთოდით, რა დროსაც ხდება CO2-ის ბუნებრივი სახით გაჯერება. ცქრიალა ღვინო შეიცავს რისლინგის, პინო ბლანის, ალიგოტესა და შარდონეს ყრძნის ჯიშებს.

კლასიკურად დავარგებული ცქრიალა ღვინო: დამზადებულია კლასიკური შამპანიზაციის მეთოდით, რაც გულისხმობს ბოთლში ფერმენტაციას. ცქრიალა ღვინოები შეიცავენ „პინო ნუარ“ და „შარდონეს“ ყურძნის ჯიშებს. დავარგება მიმდინარეობს ბოთლებში 9 თვიდან 1.5 წლამდე. პროდუქციის დამზადება მიმდინარეობს „შაბოს“ ცქრიალა ღვინის სახლში, რომელიც აღჭურვილია ულტრა თანამედროვე ტექნელოგიებით.

ვერმუტი „შაბო“ იწარმოება თეთრი და წითელი ევროპული ჯიშის ყურძნებისაგან, რომელსაც დამატებული აქვს აბზინდას, დარიჩინის, ფორთოხლის, ვანილისა და ქინძის

ექსტრაქტები. რეკომენდირებულია კოქტეილებისათვის, ყინულთან და ლიმონთან ერთად.

არაყი ჰელოუ ექსკლუზივი: შეზღუდული რაოდენობის პრემიალური ხორბლის არაყი, რომელიც შექმნილია უახლესი თაობის „ხორბლის ცრემლის“ ტექნელოგიური პრინციპით, რომელიც დაპატენტებულია უკრაინაში. სპირტი მზადდება ხორბლის რბილი ჯიშებისაგან, რომლებიც იზრდებიან კარპატების რეგიონის ეკოლოგიურად სუფთა ნაკვეთებზე. ხორბალს თესავენ 3 წელიწადში ერთხელ, ვინაიდან მიწის მოსავლიანობას ქონდეს დასვენებისა და აღდგენის საშუალება. ხორბლის არაყი „შაბო“ კუპაჟიზაციის პროცესს გადის კრისტალურად სუფთა წყლით, რომელიც შაბოს უნიკალურ ქვიშიან ნიადაგებში მოიპოვება.

ყურძნის არაყი: ეს ელიტური არყები მზადდება ყურძნის ისეთი შერჩეული ჯიშებისაგან როგორებიცაა: მუსკატი, რქაწითელი, რისლინგი, სოვინიონ ბლანი და შარდონე. მოსავალი აღებულია საუკეთესო მიკრო ზონებიდან, ხოლო დამზადების რეცეფტი შემუშავებულია შაბოს მეღვინეების მიერ. პირველ ეტაპზე არაყი იფილტრება რძით ალმასის ფილტრში, შემდეგ გადის ოქროსა და ვერცხლის ფილტრაციას, რაც მას საბოლოოდ კრისტალურ სისუფთავეს ანიჭებს.

თავი III ინვესტიციები დარგისა და რეგიონის განვითარებაში

3.1 კვლევის საფუძველზე გამოკვეთილი ინვესტიციების მოზიდვის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები საქართველოში მოქმედ ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში

რადგანაც ჩვენი ქვეყანა განვითარების ეტაპზე იმყოფება, მას სჭირდება უფრო დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მთავრობამ უნდა დასახოს

სტრატეგიები ამ მიმართულებით, უნდა განსაზღვროს მიზნობრივი ბაზრები და იმუშავოს მათთვის მიმზიდველი გარემოს შექმნაზე. ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს ის, თუ რა მიმართულებით ექმნებათ კომპანიებს პრობლემები, თუ არსებობს რაიმე სახის წინაღობები, თუ სჭირდებათ დამატებითი გარემოებები იმისთვის, რომ განაგრძონ და გააფართოვონ საკუთარი ბიზნესი საქართველოში.

შევადგინე ანკეტა, რომელიც მოიცავს იმ ძირითად საკითხებს, რომელზე პასუხების მიღებაც დასკვნების გამოტანის საშუალებას მომცემს:

ანკეტის საშუალებით გამოვკითხე 15 უცხოური კომპანია, რომლებიც ანხორციელებენ ინვესტირებას როგორც ღვინის ასევე სხვა დარგებში, მაგრამ ჩემი მთავარი აქცენტები ღვინის სფეროს შესწავლას და მომავალ განვითარებას ეხება. კვლევა არის ნაწილობრივ რაოდენობრივი ხასიათის და ნაწილობრივ თვისობრივი, რადგანაც მოიცავს ორ ღია კითხვას , სადაც კომპანიის წარმომადგენლებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ აზრი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე. კვლევის ჩატარების პერიოდი არის 1-10 ივნისი.

პირველი კითხვა ზოგადად შეეხება იმას, ღირდა თუ არა ღვინის სფეროში ინვესტირების განხორციელება. ათმა კომპანიამ დადებით პასუხი გასცა კითხვას, ოთხმა ნაწილობრივ მომგებიანად ჩათვალა, ხოლო ერთმა წამგებიანად. ანუ კითხვამ არის თუ არა ინვესტირება მომგებიანი მეღვინეობის დარგში მოგვცა შემდეგი სურათი:



შემდეგი კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რამდენად მზარდი ტენდენციით ხასიათდება ქართულ ღვინოზე მოთხოვნა მსოფლიო ბაზრებზე. ამის კითხვის მიზანი არის ის, რომ გაგვერკვია კომპანიების სამომავლო გრძელვადიანი გეგმები. რამდენად ესახებათ მათ მომგებიანად ქართულ ბაზარზე ქართულ ღვინოში ინვესტიციის განხორციელება საზღვარგარეთიდან შემოტანილ პროდუქციასთან ერთად. ყველა მათგანისგან ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მივიღე:



შემდეგი რაც არის მნიშვნელოვანი, რამდენად კონკურენტუნარიანია ქართული ყურძნისგან დამზადებული ღვინო, იმისთვის რომ ღირსეული კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე არსებულ ღვინოებს. ამ შემთხვევაში რვა კომპანია ასახელებს, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია, ხოლო შვიდი კომპანია ნაწილობრივ სკეპტიკურად არის განწყობილი ამ საკითხისადმი:



მთავრობის როლი უცხოური ინვესტიციების განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია. 14 კომპანია თვლის რომ მთავრობას სრული მზაობა აქვს მათ დასახმარებლად, ხოლო ერთი კომპანია თვლის რომ არა:



რაც შეეხება კანონმდებლობას, 12 კომპანიისთვის ის ბიზნესისთვის კომფორტული და სამართლიანია, ხოლო სამი კომპანიისთვის ნაწილობრივ:



შემდეგი კითხვა თვისობრივი ხასიათის არის და კომპანიებს აძლევს საშუალებას გამოთქვან პრეტენზია, თუ ჰქონიათ რაიმე სახის დაბრკოლება და პრობლემა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა 11 კომპანია ამბობს, რომ პრობლემა არ ჰქონია. დანარჩენი ოთხი მათგანი კი ასახელებს, რომ უშუალოდ მთავრობა არა, მაგრამ ხელს უშლით საბაჟო რეგულაციები, არასტაბილური ვალუტა, პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც რუსეთთან კონფლიქტით არის გამოწვეული და ბიუროკრატია, რომელიც რიგ შემთხვევებში იჩენს თავს კომუნიკაციის პროცესში:



რაც შეეხება მთავრობის მხრიდან დახმარებას და წახალისებას ხუთი მათგანი უარყოფითად პასუხობს , ხოლო ათი მათგანი ამბობს რომ ისარგებლეს მთავრობის მიერ შეთავაზებული იაფი სესხებით, ასევე მათ ჰქონდათ შეღავათიანი პერიოდები დაწესებული თანხების დაფარვასთან დაკავშირებით და ერთი მათგანი პასუხობს, რომ , რომ არა მთავრობის განსაკუთრებული მხარდაჭერა, ის ვერ შეძლებდა საქმიანობის გაგრძელებას საქართველოში რიგი პრობლემების გამო:



საბოლოო სურათი, რაც გვაჩვენა ჩვენმა კვლევამ არის ის ,რომ მთავრობის მხრიდან არის მზაობა უცხოური ინვესტიციების წახალისებისთვის და ასევე თანამშრომლობა მხარეებს შორის საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობს. კომპანიები თავისუფალ გარემოში საქმიანობენ და მომავალშიც ამყარებენ დიდ იმედებს უკვე უშუალოდ ქართულ ღვინოზე. თუმცა სახელმწიფოს გარკვეულწილად აქვს შეზღუდული ფინანსური რესურსები, იმისათვის, რომ უფრო მეტი შეღავათების დაწესება შეძლოს ბიზნეს კომპანიებისათვის.

დასკვნა

მართალია, მიზნობრივი აუდიტორია, რომელიც მე გამოვკითხე არ იყო დიდი მასშტაბების დარგის და მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ მიღებული შედეგების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი გამართლებულად

თვლიან თავის ინვესტიციებს და გრძელვადიანი გეგმებიც გააჩნიათ ქართულ ღვინოსთან დაკავშირებით. საქართველოს ბაზარზე არსებული რეალობიდან და მეღვინეობაში უკვე გაკეთებული ინვესტირების მაგალითებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ ბიზნესი შექმნიდან საშუალოდ 6-7 წელში გადის მოგებაზე. ამ პერიოდში მაქსიმალური მხარდაჭერაა საჭირო სამთავრობო სტუქტურების მხრიდან. საშუალო ზომის, 2000 ტონიანი ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნის შექნას სჭირდება 15000000 დოლარის ინვესტიცია. არსებული თანხა მოიცავს, როგორც საწარმოს ასევე მისთვის საკმარის ვენახების ღირებულებას. დამაბრკოლებელია ის ფაქტი რომ აღნიშნული თანხიდან სახელმწიფო პროექტი ,,აწარმოე საქართველოში" აფინანსებს დაბალი პროცენტით მხოლოდ 600000 დოლარს, რომელიც ძალიან მცირეა.

რეკომენდაცია: ძალიან დიდ სტიმულს მისცემს ბიზნესს ინვესტირების მომენტში დაფინანსების წილობრივი ზრდა, იაფი კრედიტი, მიწის გადასახადის შემცირება, დამატებითი ღირებულების გადასახადის შემცირება სტარტაპის პერიოდში, პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრის მოძიება და მეტი პოპულარიზაცია ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მესხი ირაკლი-უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში; ბათ.2017
2. ჟორჟოლიანი თინათინი-უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა სამშენებლო ბიზნესზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე; თბ. 2017
3. ქათამაძე დავითი- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის საფუძვლები; თბ. 2009
4. ჩაგელიშვილი ლალი -საეთაშორისო ბიზნესი; თბ.2003
5. International Monetary Fund; Coordinated Direct Investment Survey Guide – Washington,D.c. 2015
6. Law on establishes the Foreign Investment Promotion Agency of BiH
7. http://www.fipa.gov.ba/o_fipa/zakon/default.aspx?id=285&langTag=en-US
8. Investment Promotion Act of Bulgaria
9. http://www.investbg.government.bg/files/useruploads/files/investment_promotion_act_2013.pdf
10. Foreign Investment Law of Montenegro
11. http://www.mipa.co.me/dcs/THE_FOREIGN_INVESTMENT_LAW.pdf
12. *Афова З.А., Галачиева С.В., Махошева С.А.*Организационно-экономический механизм формиро-
13. вания региональных целевых программ социально-эко-номического развития на мезоуровне (на материалахКабардино-Балкарской Республики) : монография

/Учреждение Российской акад. наук “Ин-т информатики и проблем регионального упр. Кабардино-Балкарского научного центра РАН”. Нальчик, 2010.

14. *Галачиева С.В., Махошева С.А., Кушхова Д.С.*Ресурсное обеспечение конкурентных преимуществ региона (на материалах Северо-Кавказского федераль- ного округа) // Экономические науки. 2013. № 12 (109).
15. *Хайтаев Б.Т., Махошева С.А., Галачиева С.В.*
16. Институциональные особенности функционирования агропромышленного комплекса в контексте теорииустойчивого развития // Вопросы экономики и права.2012. № 2 (44). С. 157-160.
17. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASH30e9b9383dc3dae95c178d.4.3
18. http://www.justice.gov.ge/Multimedia/Files/investiciebis_shesaxeb.pdfhttp://levanigio.blogspot.com/
19. http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13
20. https://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2&fotocat=553&id=619
21. http://georgianwine.gov.ge/
https://allwine.ge/ka/blog/ucxouri-rvino-qartul-rvinis-bazarze_1472/
http://shabo.ua/en/

დანართი

ანკეტა-კითხვარი

1. არის თუ არა საქართველოში ინვესტირება მომგებიანი მეღვინეობის დარგში?

○ დიახ

○ არა

○ ნაწილობრივ

2. ეთანხმებით თუ არა , რომ ქართულ ღვინოზე მოთხოვნა ხასიათდება მზარდი ტენდენციით მსოფლიო ბაზარზე?

○ დიახ

○ არა

○ ნაწილობრივ

3. ეთანხმებით თუ არა, რომ ქართული ყურძნისგან წარმოებული ღვინო შეძლებს, კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე არსებული ევროპული ყურძნის ჯიშებისაგან წარმოებულ ღვინოებს?

○ დიახ

○ არა

○ ნაწილობრივ

4. თვლით თუ არა, რომ მთავრობის მხრიდან არის მზაობა ბიზნესის წახალისებისთვის?

○ დიახ

○ არა

○ ნაწილობრივ

5. არის თუ არა კანონმდებლობა მორგებული საქართველოში ბიზნესის კეთების სიმარტივეზე ?

○ დიახ

○ არა

○ ნაწილობრივ

6. გქონიათ თუ არა ინდივიდუალური შემთხვევა, როდესაც რაიმე სახის დაბრკოლება და პრობლემა შეგექმნათ მთავრობის მხრიდან?

○ არა

○ დიახ, (დიახ პასუხის შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ როგორი შემთხვევა იყო)

7. გქონიათ თუ არა ინდივიდუალური შემთხვევა, როდესაც რაიმე სახის წახალისება და დახმარება მიგიღიათ მთავრობის მხრიდან?

○ არა

○ დიახ, (დიახ პასუხის შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ როგორი შემთხვევა იყო)